1 დეკემბერი

ორშაბათი
2025

ადვენტის ჟამის I კვირა [I], ი

ეს 4,2-6; ფს 121; მთ 8,5-11

მხოლოდ სიტყვა თქვი და
ყანიკურნება ჩემი მსახური მთ 8,8

წარმართთა ასისთავი თავის რწმენას აჩვენებს. იესოს ერთი სიტყვაც კი საკმარისია მისთვის: იცის, რომ ეს სიტყვა მას სიცოცხლეს მიანიჭებს. მეც მინდა მჯეროდეს: ყოველი შენი სიტყვა, იესო, სიცოცხლე იქნება ჩემთვის, სიხარული სხვებისთვის და წყალობა ყველასთვის.

2 დეკემბერი

სამშაბათი

2025

ადვენტის ჟამის I კვირა [I], ი

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, მონაზონი, +875, (მ), თ

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

დაივანებს მასზე უფლის სული ეს 11,2

წინასწარმეტყველი ესაია მას გვაცნობს, ვინც წუთისოფელში სიყვარულის ღმერთის გასაცხადებლად მოდის. ყველანი მისი მოსვლის მოლოდინში ვართ, მუდამ ველით, რამეთუ ვერასოდეს მიგვიღია იგი სრულად და ურყევად. ყოველწლიურად ადვენტში ვიმყოფებით – მოლოდინის ჟამში, გვსურს, რომ მოგვეფინოს მისი წმიდა სული სიბრძნისა და რჩევისა, სიმტკიცისა და ღმრთისმოშიშებისა.

3 დეკემბერი

ოთხშაბათი

2025

ადვენტის ჟამის I კვირა [I]

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუცესი, იეზუიტი მისიონერი, +1552 სანჩოანის კუნძულზე (ჩინეთი), (მ), თ

ეს 25,6-10; ფს 22; მთ 15,29-37

აი, ჩვენი ღმერთი ეს 25,9

წინასწარმეტყველი კვლავაც შეგვაგონებს, რაოდენ ლამაზი იქნება სამყარო ღმერთის მოსვლის ჟამს! ყველანი სიხარულში ვიქნებით, გავიხარებთ „მისი ხსნის გამო“. მისი ხსნა კი არის და მარად იქნება იესო! სწორედ ის ატარებს სახელად – „ღმერთი იხსნის“!

4 დეკემბერი

ადვენტის ჟამის I კვირა [I], ი

ხუთშაბათი

2025

წმ. იოანე დამასკელი, ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +~749 იერუსალიმის მიდამოებში

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

მარადიული კლდეა უფალი ეს 26,4

ყოველთვის უნდა ვესავდეთ უფალს, ვინაიდან ის არის კლდე, რაზეც იგება სახლი. ამას ამბობდა წინასწარმეტყველი და დღესაც იგივეს გვიმეორებს იესო: თუკი უსაფრთხო ცხოვრება გვინდა, ნუ ავაშენებთ ჩვენს ცხოვრებას ქვიშაზე, ავაგოთ კლდეზე: მის სიტყვაა კლდე, როდესაც ეს სიტყვა არა მხოლოდ მოსმენილი, არამედ მორჩილებით არის განცდილი.

5 დეკემბერი

პარასკევი
2025

ადვენტის ჟამის I კვირა [I], ი

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

ღატაკი ხალხი ისრაელის წმიდაში გაიხარებს ეს 29,19

კვლავაც ურყევია დაპირებები, რომლებიც მაშინ აღსრულდება, როცა მოვა ის, ვისაც მოველით. თავმდაბალნი გაიხარებენ, ყრუები და ბრმები არ დაბრკოლდებიან თავიანთი უძლურებით. ყველაზე ღატაკი ყველაზე ბედ-ნიერი იქნება: რამეთუ არაფერი აბადიათ და სიხარულით მიიღებენ სიცოცხლის სისავსეს. მოდი, უფალო იესო!

6 დეკემბერი

შაბათი

2025

ადვენტის ჟამის I კვირა [I]

წმ. ნიკოლოზი, მირას ეპისკოპოსი, +~350, (მ), თ

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35-10,1.6-8

მოახლოვდა ცათა სასუფეველი მთ 10,7

აჰა, სიხარულის უწყება, რომლის საქადაგებლად გადიან მოწაფეები, რათა ყველას წინაშე ხმამაღლა განაცხადონ: “მოახლოვდა ცათა სასუფეველი”. დიახ, რამეთუ მოვიდა მეფე, ზეციდან ანუ მამის გულიდან დაეშვა, რათა წუთისოფელში საბოლოოდ გამეფდეს ჭეშმარიტი მშვიდობა, ადამიანები გაერთიანდნენ გაცემული და მიღებული სიყვარულის ზიარებაში.

7 დეკემბერი

კვირა

2025

ადვენტის II კვირადღე, «ა», [II], ი

[წმ. ამბროსი, მილანის ეპისკოპოსი,
ეკლესიის მოძღვარი, +397]

ეს 11,1-10; ფს 71; რომ 15,4-9; მთ 3,1-12

ის მოგნათლავთ სულიწმიდაში მთ 3,11

ვინ იცის, ესმის თუ არა იოანე ნათლისმცემელს მისი ნათქვამი სიტყვები! არადა ეს ჭეშმარიტი სიტყვებია: ჩვენ ვხარობთ, რამეთუ ღმერთის სულში ვართ ჩაძირულნი, იმ სულში, რომელიც მამასთან გვაერთიანებს, უნარებს გვაძლევს და ერთმანეთის მიმართ ძმურ სიყვარულში გვაგულიანებს, რადგანაც ვიცით, რომ ჩვენ ყველანი ღმრთის შვილები ვართ.

8 დეკემბერი

ორშაბათი
2025

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დდ, [ს], თ

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფეს 1,3-6.11-12; ლკ 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

უზენაესის ძედ იწოდება ლკ 1,32

ანგელოზი უბოძებს მარიამს ამ გამოცხადებას. რაკიღა ძეხორციელი არ ჩარეულა და არც ჩაერევა მის ცხოვრებაში, უზენაესის ძედ იწოდება მისი შვილი! ღირსეულად მოემზადა მარიამი მის მისაღებად: მისთვის უცხოა ადამის ცოდვა და მზადაა მისი გული სიხარულით უძღვნას თავი ღმერთისგან მომდინარე ყოველი სიტყვის აღსრულებას.

9 დეკემბერი

სამშაბათი

2025

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი, +1548

ეს 40,1-11; ფს 95; მთ 18,12-14

ის დამწყემსავს სამწყსოს ეს 40,11

უფალი, რომელიც მოდის, მწყემსს ჰგავს, რომელიც ზრუნავს თავის ცხვრებზე, რათა არ იტანჯონ. იმის თქმა, მეტადრე ისრაელში, რომ ღმერთი მწყემსია, ცოტა არ იყოს უადგილოა, ვინაიდან აქ არავინ ისე დამცირებული და გარიყული არ იყო, როგორც მწყემსი. წინასწარმეტყველი აღშფოთებას როდი ეძლევა: ის მაინც ამ ხატებას გვაწვდის, რომლის გაგებაც ყველას მშვენივრად შეუძლია.

10 დეკემბერი

ოთხშაბათი

2025

ადვენტის ჟამის II კვირა [II], ი

ლორეტოს ნეტარი ქალწული მარიამი

ეს 40,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

მე მოგასვენებთ თქვენ მთ 11,28

კაცთა გულთამხილველია იესო. ადვილად გვეცლება ღონე და არც ის არის ახალი ამბავი, რომ ბევრი ჩაგრულია. ცოდვა ყველა-სთვის ახლობელი გამხდარა და თავის დაღს ასვამს ადამიანს. არის გამოსავალი? რა თქმა უნდა და, ძალიან ლამაზიც. თავად იესოა ძალა და მშვიდობა, ნუგეში და თანადგომა. მტკიცედ გავეშუროთ მისკენ, არ ვითაკილოთ.

11 დეკემბერი

ხუთშაბათი

2025

ადვენტის ჟამის II კვირა [II], ი

წმ. დამას I, პაპი, +384 რომში

ეს 41,13-20; ფს 144; მთ 11,11-15

შენი ღამო-მსყიდველი ისრაელის წმიდაა ეს 41,14

ამ სიტყვებით ეცხადება ღმერთი სასოწარკვეთილ და ტანჯულ ხალხს. არავინ უნდა შიშობდეს, არავინ არ უნდა დამწუხრდეს. ღმერთი გამომსყიდველია, სურს მოგვიტევოს ცოდვა, განკურნოს იარები, ამოავსოს ჩვენს გულში არსებული სიცარიელე და შეგვეწიოს უმწეობის ჟამს.

12 დეკემბერი

პარასკევი

2025

ადვენტის ჟამის II კვირა [II], ი

(29.XI) წმ. აბიბოს ნეკრესელი, ეპ., წამ., VIს.; გვადალუპეს ნეტარი ქალწული მარიამი, 1531, ამერიკის კონტინენტების მფარველი

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

მე ვასწავლი შენს სასიკეთოს ეს 48,17

უფალი მოძღვარია, ვისაც უყვარს და ვინც ჩვენს ცხოვრებაზე ზრუნავს, ამჟამად და მომავალში. მას უნდა მივენდოთ და არ მოვუსმინოთ მის გამქილიკებლებს, მასზე დიდად რომ თვლიან თავს. მაშინაც კი მოვუსმენთ მის სიტყვებს, როცა ბოლომდე ვერ გაგვიაზრებია მისი სიბრძნე.

13 დეკემბერი

ადვენტის ჟამის II კვირა [II]

შაბათი

2025

წმ. ლუცია, ქალწული და წამებული, სირაკუზაში +404, (მ), წ;
(30.XI) წმ. ვახტანგ გორგასალი, +502;
წმ. პეტრე კათ., VI‹; წმ. სამოელ კათ., V-VII‹ს

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

ელია უკვე მოვიდა, მაგრამ ვერ იცნეს იგი მთ 17,12

იესო იმასვე განუმარტავს სამ მოწაფეს, რაც მათ უკვე იცოდნენ, მაგრამ ვერ იგებენ. ელია მნიშვნელოვან უწყებას გასცემს, ხალხის ჭეშმარიტი ღმერთის რწმენაში დასაბრუნებ-ლად. მისი უწყება, ცოცხალი და ურყევი, ისევ გაისმის იოანეს პირიდან, მაგრამ ვინ ისმენს? მას ხალხი იესოს, ღმრთის ძის მორჩილების-კენ მიჰყავდა.

14 დეკემბერი

კვირა

2025

ადვენტის III კვირადღე, «ა», [III], 3

[წმ. იოანე ჯვრისა, კარმელიტელი ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +1591 უბედაში (ესპანეთი)]

ეს 35,1-6.8.10; ფს 145; იაკ 5,7-10; მთ 11,2-11

ჭრელებს ესმით მთ 11,5

უფალო იესო, როცა შენი სიტყვა ჩვენს გულებში აღწევს, ამ სამყაროში როგორც მამის ძღვენს ისე ვგრძნობთ შენს არსებობას. შენს მოსვლამდე უძლურნი ვიყავით და ვერ ვისმენდით ღმერთის ნებას და არც მისებრ გვიყვარდა. ჩვენ ისევე გვიყვარს ამჟამად ერთმანეთი, როგორც მამას სურს: სწორედ ეს არის წუთისოფელში შენი მყოფობის ნიში და ნაყოფი.

15 დეკემბერი

ორშაბათი

2025

ადვენტის ჟამის III კვირა [III], ი

(2.XII) წმ. ისე წილკნელი, ეპისკოპოსი,VIს.

რიცხ 24,2-7.15-17; ფს 24; მთ 21,23-27

მას ვხედავ ...: ამობრწყინდება ვარსკვლავი იაკობისგან

რიცხ 24,17

ღმერთი ამ შემთხვევაშიც წარმართი წინასწარმეტყველის მეშვეობით შემოდის. ბალაამს თავისმა მეფემ ფული მისცა, რათა დაეწყევლა მოსეს ხალხი. მაგრამ როცა ისინი დაბანაკებულნი იხილა, სიტყვაც ვერ დაძრა. სიტყვები, რასაც ღმერთი ათქმევინებს, კურთხევის სიტყვებია, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველებაა. ამ ერიდან იშვება სიხარული და სინათლე მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენ მას მოველით.

16 დეკემბერი

სამშაბათი 2025

ადვენტის ჟამის III კვირა [III], ი

სოფ 3,1-2. 9-13; ფს 33; მთ 21,28-32

მოუხმოს ყველამ უფლის სახელს სოფ 3,9

წინასწარმეტყველი საყვედურობს ღმერთის ქალაქს, რომელიც უკადრისობს მის შენიშვნას. ის უნდა ენდობოდეს თავის უფალს, მაგრამ ასე როდი იქცევა. მაშინ ღმერთი სხვა ერებს უბოძებს მისი სახელის მოხმობის ნიჭსა და „იგივე უღლის ქვეშ“ მსახურების უნარს. მათგან მოუწევს სწავლა ღმერთის ერს!

17 დეკემბერი

ოთხშაბათი
2025

შობის ნოვენის დასაწყისი [ს], ი

წმ. ბარბარე, ქალწ. წამ., +III-IVსს

დაბ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება (+1973)

იუდა, შენს წინაშე ეანერთხმება...მამაშენის ძენი დაბ 49,10

იაკობი სიკვდილამდე აკურთხებს თავის თორმეტ ვაჟს. სწუხს იუდაზე, რომელიც უპირატესი იქნება მათ შორის. მისი შთამომავლებიდან გამოვა კვერთხის მატარებელი, ნიშანი იმისა, რომ ყოველი ერი მას დაემორჩილება. ჩვენ ვიცით მისი სახელი და ველით, რომ თავად გავხდეთ მისი დამყოლნი.

18 დეკემბერი

ხუთშაბათი

2025

შობის ნოვენა [ს], ი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

„ეწო-დებენ მას...: „ეფალი - ჩვენი სიმართლე" იერ 23,6

იერემიას წინასწარმეტყველება ახდა. ჩვენ გვჯერა, რომ იესოა, ვინც ღმერთის წინაშე გვამართლებს. ცოდვილნი ვართ და ამიტომაც, უსამართლონი, მაგრამ, მისი მიტევებით და ჩვენს გულებში მისი ყოფნით, ღმერთი ჭეშმარიტ შვილებად გვიღებს.

19 დეკემბერი

პარასკევი
2025

შობის ნოვენა [ს], ი

მსჯ 13,2-7.24-25ა; ფს 70; ლკ 1,5-25

მე ვარ გაბრიელი, ღვთის წინაშე მდგომელი ლკ 1,19

აჰა, ანგელოზი წარუდგა ზაქარიას და გაუმჟღავნა თავისი სახელი. იგი მუდამ ღმრთის წინაშე მდგომელია, ამ წუთებშიც. ამიტომაც იმსახურებს ნდობას მისი სიტყვები. თუნდაც არ სჯეროდეს ზაქარიას, ღმერთი თავის აღთქმას არ გასტეხს და ქვეყანას მოუვლენს იოანეს, რათა ხალხს უბოძოს „ელიას სული და ძალა“.

20 დეკემბერი

შაბათი

2025

შობის ნოვენა [ს], ი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ 1,26-38

მ. შალვა ვარდიძის გახსენება (+1958)

უფალი ღმერთი მისცემს მას დავითის ტახტს ლკ 1,32

გაბრიელ ანგელოზი მარიამს მიმართავს და გაუმხელს მისი ძის სახელს. მარიამი უსმენს და ცოცხლად იმარხავს გულში ამ სიტყვებს, განსაკუთრებით იმ წუთებში, როცა თავისი ძე – იესო, რომელიც ახარეს, მთავრების მიერ საძულველი და უარყოფილი იქნება.

21 დეკემბერი

კვირა

2025

ადვენტის IV კვირადღე, «ა», [IV], ი

[წმ. პეტრე კანიზიუსი, იეზუიტი ხუცესი, ეკლესიის მოძღვარი, +1597 ფრიბურში (შვეიცარია)]

ეს 7,10-14; ფს 23; რომ 1,1-7; მთ 1,18-24

დაერქმევა მას სახელად ემანუელი მთ 1,23

მახარობელი წმინდა წერილზე დაყრდნობით განმარტავს სიტყვებს, რითაც ანგელოზმა მიმართა იოსებს სიზმარში. მან უბრძანა, რომ თავის ვაჟზე, ვისაც მარიამი შობდა, „იესო“ დაერქმია. ეს სახელი იგივეს ნიშნავდა, რაც წინასწარმეტყველმა აუწყა: „ემანუელი“ – „ღმერთი ჩვენთან არს”. და რადგან ღმერთი ჩვენთან არს, ჩვენ გამოხსნილნი ვართ, ხოლო “იესო” ნიშნავს – “ღმერთი იხსნის”.

22 დეკემბერი

ორშაბათი
2025

შობის ნოვენა [ს], ი

1მეფ 1,24-28; საგ. 1მეფ 2,1.4-8; ლკ 1,46-55

ამ ყმაწვილის გამო ვევედრებოდი 1მეფ 1,27

შესმენილ იქნა ანა, სამუელის დედა. მან ეს გაუმხილა მღვდელს, ვისაც ნასვამი ეგონა იგი როცა ლოცულობდა. ღმერთმა იგრძნო მისი გულისნადები და საწადელი აუხდინა. ამიტომაც არის მადლიერი და ღმერთს სწირავს თავის პირმშოს. და ისევ შეისმენს ღმერთი: ის ყრმა მთელი ერის წინასწარმეტყველი ხდება.

23 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

სამშაბათი

2025

წმ. იოანე კენტელი, ხუცესი,
+1473 კრაკოვში (პოლონეთი)

მალ 3,1-4.23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

შეეკა თავის ტაძარში უეცარი,
რომელსაც მოელით მალ 3,1

ამას ჰპირდება წინასწარმეტყველი მალაქია უფლის წინამავალ მაცნეს. როცა ის აუწყებს, უფალიც მზად იქნება მოსასვლელად. მზად იქნებიან მორწმუნენი მის შესაცნობად? მზად იქნებიან, რომ განიწმინდონ და ღმერთის ტაძრად აქციონ თავიანთი გული?

24 დეკემბერი

ოთხშაბათი

2025

შობის ნოვენა [ს], ი

შობის ვიგილია [ს], თ

(11.XII) ყოველნი წმიდანი,
საქართველოში წამებულნი

დილის წირვა: 2მეფ 7,1-5.8ბ-12.14ა.16; ფს 88; ლკ 1,67-79
საღამოს წირვა: ეს 62,1-5; ფს 88; საქმ 13,16-17.22-25; მთ 1,1-25
ღამის წირვა: ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14

წყალობას უყოფდა ჩვენს მამებს ლკ 1,72

მინიჭებული წყალობა მტერთაგან და კაცთა სიძულვილისაგან გამოხსნაა. მაგრამ პირველი სიძულვილი, რისგანაც უნდა გავთავისუფლდეთ, ჩვენივე გულებში ჩაბუდებულა. ამიტომაც, იგივე ხსნა „ცოდვათა მიტევების“ წყალობით შეიცნობა.

25 დეკემბერი

ხუთშაბათი

2025

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი, აბატი, IXს.

განთიადის წირვა: ეს 62,11-12; ფს 96; ტიტ 3,4-7; ლკ 2,15-20
დღის წირვა: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

სიტყვა იყო ღმერთთან იო 1,1

თვალწინ გვყავს მარიამი, ხელში ყრმა იე-
სოთი, როდესაც ანგელოზების კარნახით
მოსულ მწყემსებს წარუდგენს მას. ვინ არის
ეს ყრმა? ეს სიტყვაა, ღმრთის გულის სიტყვაა,
მისი სავსე სიყვარულია, რომელიც კაცთა
გულების სიყვარულით ასავსებად მოდის.
რამდენ საიდუმლოს ვწვდებით გზა და გზა ამ
ყრმის სიყვარულში!

26 დეკემბერი

პარასკევი
2025

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

საქმ 6,8-10.12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თქვენი მამის სული საუბრობს თქვენში მთ10,20

იესოს სიყვარულის გამო კვდება ადამიანი! ის პირველმოწამე სტეფანეა. იგი არა მხოლოდ გვხიბლავს, არამედ ვბაძავთ კიდევაც. თავად იესომ განგვიცხადა, რომ მის გამო ყველას მოგვიწევდა ტანჯვა. იგი მუდამ სძულდა ბოროტს, რომელიც ღმერთის მორჩილების უარმყოფელთა ხელით მოქმედებს.

27 დეკემბერი

შაბათი

2025

წმ. იოანე, მოციქული
და მახარებელი, დ, [ს], თ

1იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

ჩვენი თანამზიარეებაა მამასთან და ძესთან 1იო 1,3

დღეს ჩვენ გულს წმინდა იოანე აღანთებს. მან იესოს მკერდზე მიაყრდნო თავი და ასე შეიგრძნო მასთან ღრმა კავშირი. სურს ჩვენც იგივე მოგვიძღვნას, რომ იგივე სიხარული განვიცადოთ. ვიყოთ ერთობაში იესოსთან და მასთან ერთად მამასთან, – ეს სიცოცხლის სისავსეა, ეს ნეტარებაა. ამიტომაც გვესაუბრება ყოველივეზე, რაც იესოსთან ერთად განიცადა.

28 დეკემბერი

კვირა

2025

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «ა», [ს], თ

[წმ. ჩვილნი ქრისტესათვის წამებულნი]

ზირ 3,2-6.12-14; ფს 127; კოლ 3,12-21; მთ 2,13-15.19-23

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ნასარეველი ეწოდება მას მთ 2,23

იესოს ოჯახი ჩვენი ოჯახია. ჩვენ ერთნი ვართ მასთან და მასთან ერთად ვხარობთ მისი დედ-მამით. დღეს ვხედავთ, თუ რა ტანჯვასა და მწუხარებაში არიან დევნისა და მშობლიურ სახლში დაბრუნების გამო. გრძნობენ მათ წინააღმდეგ ამხედრებულ მტრებს, მუდამ ფარულად რომ მოქმედებენ. ყრმას ეწოდება ზედსახელი, რაც ჯვარზე, მის თავზე გაცხადდება.

29 დეკემბერი

ორშაბათი

2025

შობის მსგეფსის V დღე [ს], თ

წმ. თომას ბეკეტი, კენტერბერის ეპისკოპოსი, წამებული, +1170

1იო 2,3-11; ფს 95; ლკ 2,22-35

რემი თვალით ვიხილე სსნა შენმიერი ლკ 2,30

მე შემიძლია გავითავისო სიმეონეს ეს სიტყვები. მან ხელში აიყვანა იესო, მე კი მუდამ გულში ვატარებ. ბევრჯერ მინახავს მისი პატიება, მინახავს კაცთა გულში დათესილი სიყვარულის ნაყოფი, მინახავს მისი მორწმუნეების სიხარული. მე სხვა არაფერი მჭირდება.

30 დეკემბერი

სამშაბათი
2025

შობის მსგეფსის VI დღე [ს], თ

1იო 2,12-17; ფს 95; ლკ 2,36-40

ვაიცანით ის, ვინცა თავიდანაა 1იო 2,13

ასე სწერს იოანე მორწმუნეებს. შვილებ-
საც და მამებსაც ებოძათ პატიება, ამიტომ
იცნობენ, ანუ მასთან სიახლოვეში არიან,
ვისაც უყვარს და სრულყოფილ სიყვარულს
გასცემს. ფრთხილობენ, რომ არ ცდუნდნენ
წუთისოფლით, რომელიც ბევრ საზიანო
ხერხს იყენებს, მათ შორის ავხორცობას და
ამპარტავნებას. ეს თვისებები ფიტავენ მათ,
ხოლო ღმერთზე მორჩილებას მარადიულ
სიცოცხლეში შეჰყავს ისინი.

31 დეკემბერი

ოთხშაბათი

2025

შობის მსგეფსის VII დღე [ს], თ

წმ. სილიბისტრო I, პაპი, +335 რომში

1იო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

ნათელი ბრწყინავს წყვდიადში

იო 1,5

ვასრულებთ წელიწადს, მამასთან და ძესთან ზიარებაში განვლილ პერიოდს, არა როგორც დაისს, რომელიც სიბნელეში გვძირავს, არამედ როგორც ნათელ დღეს, რამეთუ ჩვენზე მუდამ მეფობს ნათელი, რომელსაც ვერ სძლევს სიბნელე: იესო, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ჭეშმარიტი ღმერთისაგან. სწორედ მას შევყავართ ახალ წელიწადში, ის უბოძებს ყველას მამის ახალ ძღვენს.